ბრძანება:№44. 442419379
თარიღი:11/07/2024

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტში „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში ადგილობრივი პროდუქტების გადამუშავების, ტექნოლოგიების და სერვისების, აგრეთვე გასაღების ახალი არხების გამოსაყენებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდამჭერი კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნის, კონკურსის წესისა და პირობებისა და განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტს „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“. პროექტის ზოგადი მიზანია ქუთაისის გადაქცევა კარგ საცხოვრებელ და საინვესტიციო ქალაქად. პროექტის აქტივობებს შორის ერთ-ერთი მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერა არის შემდეგი მიმართულებებით პროდუქტებისა და სერვისების აღდგენა/შენარჩუნება, რომლებიც წარმოადგენდნენ ტერიტორიის ისტორიულად მნიშვნელოვან აქტივებს. ფინანსური მხარდაჭერა გაცემა კონკურისის საფუძველზე.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტი „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438- 693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში ადგილობრივი პროდუქტების გადამუშავების, ტექნოლოგიების და სერვისების, აგრეთვე გასაღების ახალი არხების გამოსაყენებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსი 2024 წლის 12 ივლისიდან.
2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და

საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში ადგილობრივი პროდუქტების გადამუშავების, ტექნოლოგიების და სერვისების, აგრეთვე გასაღების ახალი არხების გამოსაყენებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მსურველებს განაცხადის წარმოდგენა შეუძლიათ 2024 წლის 12 ივლისიდან 2024 წლის 08 აგვისტოს 18 : 00 საათამდე.

3. ადგილობრივი პროდუქტების გადამუშავების, ტექნოლოგიების და სერვისების, აგრეთვე გასაღების ახალი არხების გამოსაყენებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღები კონკურსის წესი და პირობები N1 დანართის შესაბამისად.

/დანართი N1 ბრძანებას თან ერთვის/

4. დამტკიცდეს ადგილობრივი პროდუქტების გადამუშავების, ტექნოლოგიების და სერვისების, აგრეთვე გასაღების ახალი არხების გამოსაყენებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის განაცხადის ფორმა N2 დანართის შესაბამისად.

/დანართი N2 ბრძანებას თან ერთვის/

5. შეიქმნას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში ადგილობრივი პროდუქტების გადამუშავების, ტექნოლოგიების და სერვისების, აგრეთვე გასაღების ახალი არხების გამოსაყენებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა/. იოსები ხახალეიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ/. ზვიად არჩუაძე - ააიპ „მართვისა და განვითარების გადაწყვეტილებების ჰაბის“ დირექტორი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ/. დავით ერემეიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - კომისიის წევრი;

დ/. იუზა უგულავა - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის წევრი;

ე/. თამარ დახუნდარიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის წევრი;

ვ/. პეტრე ადამაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ზ/. დავით ნიშნიანიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

თ/. თინათინ ბერიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ი/. გაგა სანდუხაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური ხელმძღვანელი - კომისიის წევრი (ხმის უფლების გარეშე);

კ/. ლელა მაჩაიძე - პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია

მდგრადი განვითარებისათვის“ გუნდის ლიდერი - კომისიი წევრი;

ლ/. ემზარ ღვინიანიძე - „იმერეთის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ ხელმძღვანელი - კომისიის წევრი“.

6. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

9. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი